ხელშეკრულება №174

« 18 « მაისი 2015 წ. ქ.თბილისი

1. **ხელშეკრულების მხარეების ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები**

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის "თ" ქვეპუნქტისა და 2011 წლის 21 იანვრის საქართველოს მთავრობის N26 დადგენილების თანახმად, ერთის მხრივ (შემდგომში <u>შემსყიდველი</u>) საქართველოს დაზვერვის სამსახური (მისამართი: ქ. თბილისი, კეკელიძის ქ.№4) IV დირექტორატის V სამმართველოს უფროსის ვლადიმერ ღუდუშაურის სახით და მეორეს მხრივ (შემდგომში <u>შემსრულებელი/მიმწოდებელი</u>) შპს «თეგეტა მოტორსი» (მისამართი: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კილომეტრი N 5) მისი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის სახით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. **ხელშეკრულების საგანი**

ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურება (CPV 501) (იხ.დანართი N1)

3. **ხელშეკრულების ჯამური ღირებულება**

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება 1277 (ათასორასსამოცდაჩვიდმეტი) ლარით და 50 თეთრით

4.სამუშაოს შესრულების ეტაპობრივი ვადები

შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა 2015 წლის 18 მაისიდან 2015 წლის 25 მაისამდე შემდეგ მისამართზე : ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კილომეტრი.

5. მიღება ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 შესყიდვის ობიექტი (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს შემსრულებელი.

5.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს შემსრულებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული გაწეული მომსახურების წუნდების მიზეზების მითითებით.

6.შესყიდვის ობიექტის ხარისხი

შესყიდვის ობიექტი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

7.ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

7.1. ანგარიშწორება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების წესით.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს თანხის გადარიცხვა, მიღება-ჩაბარების აქტისა და/ან ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 15 დღის განმავლობაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი და გარანტია

8.1. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს მის მიერ მოთხოვნილი შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელსფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების და საქონლის საფასური ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

9.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი მომსახურების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

9.2. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.5%-ის ოდენობით.

9.3. იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველს ან მიმწოდებელს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

9.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არშესრულება განიხილება, როგორც ხელშეკრულების მოშლის საფუძველი.

9.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.ფორს-მაჟორი

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით (გარდა საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებისას) გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია 2015 წლის 18 მაისიდან 2015 წლის 30 ივნისამდე.

12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1. შემსყიდველმა და შემსრულებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და შემსრულებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ შესყიდვის ობიექტი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.13.2.შემსრულებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტი ან ნაკლი.

13.3. ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს შემსრულებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

14. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

14.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

14.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია გამართოს მოლაპარაკებები მეორე მხარესთან შესაბამისი ინფორმაცის შესახებ ან წერილობით აცნობოს მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ.

14.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

14.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14.5. მხარეები იღებენ ვალდებულებას შეატყობინონ ერთმანეთს აღნიშნული ხელშეკრულების პირობების ცვლილებათა შესახებ არაუგვიანეს 10 დღისა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს

შემსყიდველი: IV დირექტორატის V სამმართველოს
უფროსი ვლადიმერ ღუდუშაური ხელმოწერა ----------
(შემსყიდველის სახელი, გვარი, თანამდებობა) ბ.ა.

საბანკო რეკვიზიტები
შემსყიდველის ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: №GE24NB 0330 1002 0016 5022
საიდენტიფიკაციო კოდი: 204469583

მიმწოდებელი: შპს «თეგეტა მოტორსი»
გენერალური დირექტორი თემურ კოხოძე ხელმოწერა ----------
(მიმწოდებელის სახელი, გვარი, თანამდებობა) ბ.ა.

საბანკო რეკვიზიტები
მომწოდებლის ბანკი: სს „თიბისი ბანკი“ -ს ცენტრალური ფილიალი
კოდი:220101830
ანგარიშსწორების ანგარიში: №**GE80TB06 000000 24467853**
საიდენტიფიკაციო კოდი:202177205

დანართი N1
2015 წლის 18 მაისის N174 ხელშეკრულებასთან

ფასთა ცხრილი

ავტოსატ.საშ. დასახელება/ წლოვანება	მომსახურების (საქონლის) დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)	მომსახურების გაწევის ვადა	მომსახურების გაწევის ადგილი
TOYOTA L200 სახ N.PEP-070	წყლის ტუმბო	1	467,85	467,85	18/05/2015 25/05/2015	ქ.თბილისი, სერვის ცენტრი
	საკისარი	2	17	34		
	ღვედი	1	24,05	24,05		
	ანტიფრიზი	1	15	15		
	სამუხრუჭე ხუნდი წინა	1	269,20	269,20		
	სამუხრუჭე ხუნდი უკანა	1	157,40	157,40		
	წყლის ტუმბოს შეცვლა	1	180	180		
	წინა სამუხრუჭე დისკების მოხეხვა	1	50	50		
	წინა სამუხრუჭე ხუნდების მ/დ	1	15	15		
	უკანა სამუხრუჭე დისკების მოხეხვა	1	50	50		
	უკანა სამუხრუჭე ხუნდების მ/დ	1	15	15		
სულ:				1277,50		

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები

ქ.თბილისი 18 მარტი 2015 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ საქართველოს დაზვერვის სამსახურის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვისთვის, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

IV დირექტორატის V სამმართველოს
უფროსი ვლადიმერ ღუდუშაური

ავტოსატრანსპორტო საშუალებების
ტექნიკურ მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირი:
საქართველოს დაზვერვის სამსახურის
IV დირექტორატის II სამმართველოს
II განყოფილების წამყვანი
სპეციალისტი მიხეილ გორგაძე